

ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
2019 წლის
31 დეკემბრის მდგომარეობით

უცხოური სანარმოს ფილიალური
ჯიპიანი-ს ფილიალური საქართველოში

AG International Consulting
Member of Prime Global
Audit & Business Advisory Services

AGIC

certified member



PrimeGlobal

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები	12

**უცხოური საწარმოს ფილიალი ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში
მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.


2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 11 მაისს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი
კლაუდიო ზიფერერო

11 მაისი, 2020
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
ლატა ჩალახეშაშვილი

11 მაისი, 2020
თბილისი, საქართველო



PrimeGlobal

*An Association of
Independent Accounting Firms*

ეთიკი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
პ. კავთარაძე 1 შესახვევი, შენობა N10,
სართული 4, 0171
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) (322) 2 500 130
ელ-ფოსტა: info@agconsulting.ge

AG International Consulting
P. Kavtaradze 1 Turn, Build. N10,
Floor 4th, 0171
Tbilisi, Georgia
Tel: (995) (322) 2 500 130
E-mail: info@agconsulting.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

უცხოური საწარმოს ფილიალი ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში-ს დამფუძნებლებს და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ უცხოური საწარმოს ფილიალი ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლებისთვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“-ს შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენს ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა მოგება შეადგინა 34,195 ლარი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, თუმცა საგრძნობლად შემცირებულია წმინდა მოგება წინა წელთან შედარებით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,088,603 ლარს და არა აუდიტებული 2020 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით კომპანიას აქვს საოპერაციო ზარალი. ამას გარდა, აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღით კომპანიას აქვს მხოლოდ ერთი ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ელოდება შემოსავალს. სხვა პოტენციური შემოსავლის მიღების წყარო არ გააჩნია ორგანიზაციას, თუმცა კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მისი მაღალი რეპუტაციის და გამოცდილების შესაბამისად აქვს მნიშვნელოვანი წინაპირობა რომ მოიპოვოს ახალი გრძელვადიანი კონტრაქტები. როგორც მე-18 შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

ჩვენ ჩავატარეთ უცხოური საწარმოს ფილიალი ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში-ს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. წინა პერიოდზე აუდიტი ჩატარებულია აუდიტორული კომპანია „პაპიაშვილი კონსალტინგ ჯგუფი“-ის მიერ, რომელზეც გაიცა პირობითი მოსაზრება შემდგომ საფუძველზე დაყრდნობით:

აუდიტორული კომპანია "პაპიაშვილი კონსალტინგ ჯგუფი"-ის მიერ გაცემულია IFRS 15 - შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით. პირობითი მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2018 წლის 1 იანვარს, ძალაში შევიდა „ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“, შესაბამისად კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში 31 დეკემბრის 2018 წლის მდგომარეობით, შემოსავალი უნდა აღიარებულიყო „ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“-ის შესაბამისად. აუდიტორებმა ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და სათანადო აუდიტორული მტკიცებულება შემოსავლების სიზუსტის, სისრულისა და აღიარებასთან დაკავშირებით და ვერ მიაღწიეს გონივრულ დადასტურებას, რომ შემოსავლის აღიარება ხორციელდება „ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“-ის შესაბამისად. ამის შედეგად აუდიტორებმა ვერ დაადგინეს, საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირება აღრიცხული ან არა აღრიცხული შემოსავლების კუთხით და ასევე ვერ დაადგინეს ელემენტები, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებებისა ან ფულადი სახრების მოძრაობის ანგარიშგებებთან.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება მომზადდა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და აქედან გამომდინარე არ წარმოიშვა აღნიშნულ საკითხზე პირობითი მოსაზრების გამოცემის საფუძველი.

ჩვენ აუდიტის პროცესში დავადასტურეთ ანგარიშგების იმ მუხლების საწყისი ნაშთები რომლებიც გავლენას ახდენს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების - საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“-ს შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „კომპანიის“ უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ უცხოური საწარმოს ფილიალის ჯიპიაი-ს ფილიალის საქართველოში-ს შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა უცხოური საწარმოს ფილიალის ჯიპიაი-ს ფილიალის საქართველოში-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება უცხოური საწარმოს ფილიალის ჯიპიაი-ს ფილიალის საქართველოში უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს



PrimeGlobal
An Association of
Independent Accounting Firms

ეთიკი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
პ. კავთარაძე I შესახვევი, შენობა N10,
სართული 4, 0171
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) (322) 2 500 130
ელ-ფოსტა: info@agconsulting.ge

AG International Consulting
P. Kavtaradze I Turn, Build. N10,
Floor 4th, 0171
Tbilisi, Georgia
Tel: (995) (322) 2 500 130
E-mail: info@agconsulting.ge

ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე
მმართველი პარტნიორი
2020 წლის 11 მაისი

თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი



Handwritten signature: *ინტერნეტ-დონატი*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,983	3,428	522
არამატერიალური აქტივები	6	21,457	36,632	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,440	40,060	522
მოკლევადიანი აქტივები				
წინასწარ გადახდილი ხარჯები		2,537	10,990	10,678
წინასწარ გადახდილი წმინდა				
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	7	210,125	117,925	20,763
გაცემული ავანსები		-	-	311
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	928,775	1,090,754	1,390,963
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	329,579	513,517	155,393
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,471,016	1,733,186	1,578,108
სულ აქტივები		1,494,456	1,773,246	1,578,630
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		1,193,374	1,159,179	470,508
სარეზერვო კაპიტალი		13,493	13,493	13,493
სულ კაპიტალი		1,206,867	1,172,672	484,001
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახდელი მოგების გადასახადი		11	11	-
მიღებული ავანსები	10	189,808	494,694	863,920
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	97,770	105,869	230,709
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		287,589	600,574	1,094,629
სულ ვალდებულებები		287,589	600,574	1,094,629
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,494,456	1,773,246	1,578,630

დირექტორი
კლაუდიო ზიფერერო

11 მაისი, 2020
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
ლატა ჩალახეშაშვილი

11 მაისი, 2020
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან	12	5,253,906	5,056,223
თვითღირებულების ხარჯები	13	(4,501,232)	(3,003,747)
საერთო მოგება		752,674	2,052,476
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(658,510)	(937,932)
საოპერაციო მოგება		94,164	1,114,544
წმინდა საკუთრო მოგება/(ზარალი)		(55,867)	49,292
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		4	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(4,106)	(4,657)
მოგება დაბეგვრამდე		34,195	1,159,179
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(70,576)
წმინდა მოგება		34,195	1,088,603



დირექტორი
კლაუდიო ზიფერო

11 მაისი, 2020
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
ლატა ჩალახეშვილი

11 მაისი, 2020
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სარეზერვო კაპიტალი	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	470,508	13,493	484,001
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	1,088,603	-	1,088,603
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	1,088,603	-	1,088,603
დივიდენდის გამოცხადება	(399,932)	-	(399,932)
ოპერაციები აქციონერებთან/დამფუძნებლებთან	(399,932)	-	(399,932)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,159,179	13,493	1,172,672
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	34,195	-	34,195
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	34,195	-	34,195
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,193,374	13,493	1,206,867

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	34,195	1,088,603
კორექტირებები:		
ცვეთა	1,445	803
ამორტიზაცია	15,175	8,897
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	55,867	(49,292)
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	106,682	1,049,011
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	121,846	371,792
ცვლილებები წინასწარ გადახდილ ხარჯებში	8,453	(313)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(92,200)	(97,162)
ცვლილებები გაცემულ ავანსებში	-	311
ცვლილებები გადასახდელ მოგების გადასახადში	-	11
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(304,886)	(369,226)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	-	(132,147)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	(160,105)	822,277
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(3,709)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(45,529)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(49,238)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდების გადახდა	-	(399,932)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	-	(399,932)
ფულისა და ექვივალენტების წეტო ცვლილება	(160,105)	373,107
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(23,833)	(14,983)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	513,517	155,393
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	329,579	513,517

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საკმეიანობა

უცხოური საწარმოს ფილიალი ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში -ს საკმეიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს საკონსულტაციო საკმეიანობა, რომელიც კერძოდ მოიცავს ინფრასტრუქტურული საინჟინრო სამშენებლო სამუშაოების პროექტირება და ზედამხედველობა. კომპანია დაფუძნდა 05 აპრილ ს 2017 წელს.

უცხოური საწარმოს ფილიალი ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გივი კარტოზიას ქ., N8, კორპუსი N6, სართული 3, ბინა N10

კომპანიის დამფუძნებელი არის შპს „ჯესტიონე პროგეტი ინჟენერია სოსიეტა რესპონსაბილიტა ლიმიტატა“ შემოკლებით „ჯი-პი ინჟენერია სრლ“/იტალია/, რომლის მფლობელებიც არიან:

- 1) ჯორჯიო გუიდუჩი - 63%
- 2) ფრანჩესკა ზანთედერი - 16%
- 3) ემილიანო მოსკატელი - 10%
- 4) ამბროჯიო სიგნორელი - 10%
- 5) კრისტიანა გუიდუჩი - 1%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირველადი ღირებულების მეთოდით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

კომპანიის ფუნქციონალური და ანგარიშგების ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ

დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირველადი გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6766	2.8677
ლარი/1 ევრო	3.1044	3.0701	3.2095

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი - 33%
- არამატერიალური აქტივები - 33%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ამოქმედებული ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე, მოგების გადასახადის დარიცხვა/(მიწერა) მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარებოდა მოგება-ზარალის ანგარიშგებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის უკავშირდებოდა ოპერაციებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო იმავე ან სხვა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში ან უშუალოდ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი იყო თანხა, რომელიც ექვემდებარებოდა საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ან მათგან მიღებას მიმდინარე და წინა პერიოდებში დასაბეგრ მოგება-ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება-ზარალი ეფუძნებოდა ვარაუდებს, თუ რამდენად ნებადართული იყო ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილი იყო საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალში გადატანილ საგადასახადო ზარალთან დაკავშირებით და დაბეგვრის მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების დაბეგვრად ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებით

სხვაობებთან დაკავშირებით, ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის მიზნით. თავდაპირველ აღიარებასთან დაკავშირებული გამონაკლისების მიხედვით, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხებოდა კომპანიების გაერთიანების გარდა სხვა ტრანზაქციაში აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებისას არსებულ დროებით სხვაობის თვალსაზრისით, თუ ეს ტრანზაქცია, თავდაპირველად აღრიცხვისას, გავლენას არ ახდენს აღრიცხვაზე ან დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთები ფასდებოდა მოქმედი ან არსებითად იმ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ გამოიყენებოდა იმ პერიოდთან მიმართებაში, როდესაც დროებითი სხვაობები მთლიანად იცვლებოდა ან საგადასახადო ზარალის მომავალში გადატანა ხდებოდა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები, დაქვითვას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობებისა და მომავალში გადატანილი საგადასახადო ზარალის თვალსაზრისით, აღირიცხებოდა მხოლოდ მაშინ თუ აშკარა იყო, რომ დროებითი სხვაობები მთლიანად შეიცვლებოდა და საკმარისი მოცულობის მომავალი დასაბეგრი მოგება არსებობდა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა დაქვითვების განხორციელება.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები ურთიერთჩათვლა მაშინ ხდებოდა, როდესაც მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების მიმართ ჩათვლის იურიდიულად განხორციელებადი უფლება არსებობდა და როდესაც გადავადებული მოგების გადასახადების აქტივები და ვალდებულებები იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ ერთსა და იმავე დასაბეგრ პირზე ან სხვა დასაბეგრ პირებზე დაწესებულ მოგების გადასახადებს უკავშირდებოდა, თუ მიზანი ანგარიშგებზე დავალიანების ნეტო საფუძველზე დაფარვა იყო.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები განახორციელა საქართველოს საგადასახადო კანონში, რომლის საფუძველზეც კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომზარდების გარდა) მოგების გადასახადს არ გადაიხდიან 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ ეს მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის სახით.

15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებელში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში, და 0.85-ზე გაყოფით) ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდისას. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებიდან არ იხვევება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაგროვილ მოგებაზე დივიდენდები მოგების გადასახადით იხვევება გადაანგარიშებულ მთლიან მაჩვენებელზე, რომელიც შემცირებულია საგადასახადო შეღავათით. საგადასახადო შეღავათი გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი საერთო წმინდა მოგებასთან მიმართებით იმავე პერიოდში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც დივიდენდების გადახდა განხორციელდა. მოგების გადასახადის პირობითი

ვალდებულება, რომელიც დივიდენდების გადახდის შემდეგ წარმოიშობა, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილებასთან ერთად, გადასახადი მაინც გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას აღემატება. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და ასეთ საწარმოებთან სხვა კონკრეტული გარიგებები, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსის ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო შეღავათის გამოკლებით, აისახება გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში: (i) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI), (ii) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლების უწყისის გავლით და (iii) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისის გავლით.

სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი და აგრეთვე ის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძრითადი და პროცენტის თანხის გადახდებს (SPPI) წარმოადგენენ თუ არა. თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია ამოღებისათვის, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და ფლობილია პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც საწარმო ფლობს როგორც აქტივების ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, ისე აქტივების გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავენ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ SPPI-ს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის სამართლიანი ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

კომპანია აკლასიფიცირებს სავალო ინვესტიციებს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

(i) აღიარება და არ აღიარება. კომპანიამ უნდა ცნოს ფინანსური აქტივი ან ვალდებულება საბალანსო უწყისში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულების. ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა და კომპანიამ გადასცემს საკუთრების არსებითად ყველა რისკსა და უფლებას.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) საბალანსო უწყისიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება გათავისუფლდება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებითად განსხვავებული პირობებით, ზღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულებისა.

ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულებების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების.

განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, რომელიც მოიცავს არაფულადი აქტივების გადაცემას ან ვალდებულებების აღებას, აღიარდება მოგება-ზარალი უწყისში.

(ii) *ღირებულების განსაზღვრა*. საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს როგორც სამართლიან ღირებულებას მიმატებული, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი აე არ არის წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში, ტრანზაციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე. ფინანსური აქტივის, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტი. სავალო ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

ამორტიზირებული ღირებულება. აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს კონტრაქტული ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, იზომება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების ანულირებიდან მიღებული შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირი მეთოდით მოგება-ზარალში და წარმოდგენილია სხვა შემოსულობებში/(დანაკარგებში) სავალუტო სხვაობიდან მიღებულ შემოსულობებსა და დანაკარგებთან ერთად.

უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობის ეფექტი წარმოდგენილია სხვა შემოსულობებში/ზარალებში და გაუფასურების ხარჯები ცალკე ხაზად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

FVPL. აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდებიან FVPL-ით. მოგება ან ზარალი სავალო ინსტრუმენტზე, რომელიც შემდგომში ფასდება FVPL-ით აღიარდება მოგება-ზარალში და შესულია ნეტო ღირებულებით სხვა შემოსულობებში/(ზარალებში) წარმოშობის პერიოდისათვის.

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის სამართლიანი ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების (FVPL) სამართლიან ღირებულებებში ცვლილებების აღიარება ხდება სხვა შემოსულობებში/(ზარალებში) მოგება-ზარალის უწყისში. FVOCI-ით შეფასებული წილობრივი ინსტრუმენტის გაუფასურების ზარალი არ გამოიყოფა ცალკე სამართლიანი ღირებულების სხვა ცვლილებებიდან.

(iii) **გაუფასურება.** კომპანია აფასებს მომავალზე გათვლილ ამორტიზირებული ღირებულებით და FVOCI -ით წარმოდგენილი მის სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგში. გამოყენებული გაუფასურების შეფასების მეთოდი დამოკიდებულია იმაზე იყო თუ არა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში.

სავაჭრო დებოტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით, კომპანია იყენებს ფასს-9 -ით ნებადართულ გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოითხოვს, რომ ექსპლუატაციის ვადის მოსალოდნელი დანაკარგები აღიარებული იყოს დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი აღიარებიდან.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით თარიღებისთვის - 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017. ის მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ვადიან დეპოზიტებს, ფულად სახსრებს და მათ ექვევალენტებს, რომელიც ასახულია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების საბალანსო უწყისში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (i) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და (ii) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით წლის განმავლობაში მოგება/ზარალში (FVPL) აღირებულ მაჩვენებელში ცვლილებებით იმ პერიოდში როცა ისინი წარმოიქმნა. ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები, რომელიც შეხედულებისამებრ განსაზღვრულია კომპანიის მიერ აღიარებულ სხვა სრულ შემოსავალში (OCI), რეციკლაციის გარეშე, თუ:

- OCI პრეზენტაცია წარმოქმნის ან გაზრდის მოგების და ზარალის საღრიცხვო დისბალანსს; ან

- ვალდებულება არის სავალო ვალდებულები ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი

სხვა ფინანსური ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, რომელიც ვარდება სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასების კატეგორიაში თარიღებისთვის 31 დეკემბერი 2017 და 1 იანვარი 2017 მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, რომელიც ასახულია გარდამავალი სპეციალური დანიშნულების საბალანსო უწყისში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე და ფულს გზაში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთება შესაძლებელია. თუ ევექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების გენერირება ხდება საკონსულტაციო და არქიტექტურული მომსახურებებიდან, რომელთა აღიარება ხორციელდება გადახდის გრაფიკის მიხედვით რაც წარმოადგენს ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს და განსაზღვრავს შესრულების ეტაპებს როგორც უნდა იყოს წარდგენილი. შემოსავალი ნაჩვენებია დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე.

შემოსავალი იზომება როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება. როდესაც ბარტერულ შეთანხმებაში საიმედოდ ვერ დგინდება მიღებული აქტივის ღირებულება, შემოსავალი აღიარდება იმ აქტივების ან სერვისის ღირებულებით, რომელიც კომპანიამ გასცა ან გასწია.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

5. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა, ავტო და სხვა ინვენტარი	სულ
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31.12.2017	626	626
შემოსვლა	3,709	3,709
ბალანსი 31.12.2018	4,335	4,335
ბალანსი 31.12.2019	4,335	4,335
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება		
ბალანსი 31.12.2017	(104)	(104)
ცვეთა პერიოდისათვის	(803)	(803)
ბალანსი 31.12.2018	(907)	(907)
ცვეთა პერიოდისათვის	(1,445)	(1,445)
ბალანსი 31.12.2019	(2,352)	(2,352)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ბალანსი 31.12.2017	522	522
ბალანსი 31.12.2018	3,428	3,428
ბალანსი 31.12.2019	1,983	1,983

6. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამურად
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31.12.2017	-	-
დანამატები	45,529	45,529
ბალანსი 31.12.2018	45,529	45,529
ბალანსი 31.12.2019	45,529	45,529
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31.12.2017	-	-
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(8,897)	(8,897)
ბალანსი 31.12.2018	(8,897)	(8,897)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	(15,175)	(15,175)
ბალანსი 31.12.2019	(24,072)	(24,072)
წმინდა ღირებულება		
ბალანსი 31.12.2017	-	-
ბალანსი 31.12.2018	36,632	36,632
ბალანსი 31.12.2019	21,457	21,457

7. წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საშემოსავლო გადასახადი	(12,168)	(7,092)
დამატებითი ღირებულების გადასახადი	222,413	125,036
ქონების გადასახადი	(46)	(19)
საპენსიო გადასახადი	(74)	-
სულ წინასწარ გადახდილი წმინდა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	210,125	117,925

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	532,170	392,884
მოთხოვნები სათაო ოფისის მიმართ	396,605	697,870
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	928,775	1,090,754

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ლარები საბანკო ანგარიშებზე	318,029	440,369
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	11,550	73,148
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	329,579	513,517

10. მიღებული ავანსები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის ფილიალი საქართველოში	189,808	366,016
აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში	-	128,678
სულ მიღებული ავანსები	189,808	494,694

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
გადასახდელი ხელფასები	94,169	102,777
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	3,601	3,092
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	97,770	105,869

12. შემოსავალი მომსახურებიდან

	2019 წლის 31	2018 წლის 31
--	--------------	--------------

	დეკემბერი	დეკემბერი
ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზის ფილიალი საქართველოში - პროექტი "Tbilisi Bypass"	4,290,198	3,049,494
აიარდ ენჯინერინგ-ის წარმომადგენლობა საქართველოში - პროექტი „Khevi Argveta“	963,708	2,006,729
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	5,253,906	5,056,223

13. თვითღირებულების ხარჯები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
პროექტი "Tbilisi Bypass"	3,440,882	1,625,130
პროექტი „Khevi Argveta“	1,060,350	1,378,617
სულ თვითღირებულების ხარჯები	4,501,232	3,003,747

14. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019 წელი	2018 წელი
ხელფასის ხარჯები	488,124	746,966
იჯარის ხარჯები	48,241	80,708
ბუღალტრული მომსახურების ხარჯები	27,642	32,813
მივლინების ხარჯები	31,728	18,313
ბონუსის ხარჯები	19,725	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	16,620	9,700
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	281	295
აუდიტის ხარჯები	10,258	31,892
საბანკო ხარჯები	9,851	10,769
კომუნალური ხარჯები	4,897	5,938
საგადასახადო ხარჯები	901	69
მომსახურების ხარჯები	242	278
რეკლამის ხარჯები	-	123
საოფისე ხარჯები	-	68
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	658,510	937,932

15. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულია.

საგადასახადო კანონმდებლობა

საგადასახადო სისტემა საქართველოში არის შედარებით ახალი და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებითა და სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, წინააღმდეგობრივი და ეჭვმდებარეა განსხვავებულ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებს მიერ. საგადასახადო შემოწმებები და გამოძიებები ხორციელდება რიგი სამთავრობო უწყებებს მიერ, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება დააკისრონ მკაცრი ჯარიმები და საურავები გარკვეულ სუბიექტებს. საგადასახადო წელი ღიაა შესამოწმებლად საგადასახადო ორგანოების მიერ სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

გარემოსდაცვითი საკითხები

ამ გარემოებამ შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიამიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2019	დებიტორული დავალიანება	გადასახდელი ხელფასები
შპს ჯესტიონე პროგეტი ინჟინერია სოსიეტა რესპონსაბილიტა ლიმიტატა	396,605	-
კლაუდიო ზიფერერო	-	12,036

ჯორჯიო გუიდუჩი	-	80,238
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2019	396,605	92,273

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2018	დებიტორული დავალიანება	გადასახდელი ხელფასები
შპს ჯესტიონე პროგეტი ინჟენერია სოსიეტა რესპონსაბილიტა ლიმიტატა	697,870	-
კლაუდიო ზიფერერო	-	11,520
ჯორჯიო გუიდუჩი	-	75,897
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2018	697,870	87,417

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2019	შემოსავალი
სათაო ოფისიდან გადმორიცხული თანხები (შემოსავალი პროექტი "Tbilisi Baypass" & პროექტი „Khevi Argveta“ -დან)	339,402
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2019	339,402

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2019 წელი	2018 წელი
დირექტორი - კლაუდიო ზიფერერო:	157,888	154,141
ხელფასის ხარჯები	100,441	134,766
ბინის და კომუნალური ხარჯები	31,966	19,295
ბონუსი	19,725	-
სხვა სარგებელი	5,756	80
დამფუძნებლები:	266,454	494,399
ხელფასის ხარჯები	248,184	481,401
ბინის და კომუნალური ხარჯები	18,270	12,997
შპს ჯესტიონე პროგეტი ინჟენერია სოსიეტა რესპონსაბილიტა ლიმიტატა	1,478,117	1,233,112
საკონსულტაციო ხარჯები	1,478,117	1,233,112
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	1,902,459	1,881,651

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას. 2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა გააფრთხილა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იმის თაობაზე, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც კორონავირუსი.

საქართველოს მთავრობის ახალი რეგულაციებით კომპანიები მუშაობას განაგრძობენ დისტანციურად. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ წარმოქმნილი ბალანსის შემდგომი მოვლენა არ მოახდენს ზეგავლენას კომპანიის ფუნქციონირებადობაზე, იქედან გამომდინარე რომ კომპანია აგრძელებს მუშაობის პროცესს დისტანციურად და ამასთანავე კომპანიას ჰყავს გრძელვადიანი ხელშეკრულებით გაფორმებული კონტრაქტორები და მათ არ აქვთ იმის რისკი რომ შემოსავალი შეუმცირდებათ.

კომპანიას არ აქვს აღნიშნული პანდემიის შედეგად საქმიანობის შეჩერების რისკი, რადგან საქმიანობას ახორციელებენ დისტანციურ რეჟიმში, თუმცა სხვა გარემოებების შედეგად კომპანიას ამგვარი რისკი მაინც წარმოეშვა, რაც დეტალურად აღწერილია „ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა“-ის ნაწილში.

18. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. 2019 წლის ფინანსური შედეგებით მრგებამ შეადგინა 34,195 ლარი, რომელიც საგრძნობლად შემცირებულია 2018 წლის ფინანსური შედეგებით მიღებულ მოგებასთან შედარებით, რომელიც შეადგენს 1,088,603 ლარს, ხოლო არა აუდირებული 2020 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით კომპანიას აქვს საოპერაციო ზარალი.

შპს ჯესტიონე პროგეტი ინჟინერია სოსიეტა რესპონსაბილიტა ლიმიტატა დაარსდა იტალიაში 1997 წელს. მოკლე დროში შპს ჯესტიონე პროგეტი ინჟინერია სოსიეტა რესპონსაბილიტა ლიმიტატა გახდა გამოცდილი კონსტრუქტი ინჟინერიის ბაზარზე, რომელსაც შეეძლო შეესრულებინა რთული პროექტები (ძირითადი მიწისქვეშა სამუშაოები, გრძელი ხიდები, მეწყერის სტაბილიზაცია და სეისმური ინჟინერია სტრუქტურებისა და გეოტექნიკური სამუშაოებისათვის.)

კომპანია ნელ-ნელა და მუდმივად იზრდებოდა და მიიღო დიდი გამოცდილება იტალიის ტრანსპორტის ინჟინერიის ტენდერებში. 2015 წელს მენეჯმენტმა გადაწყვიტა რომ გამოეცადა საერთაშორისო ბაზარზე გასვლა. 2017 წელს შპს ჯესტიონე პროგეტი ინჟინერია სოსიეტა რესპონსაბილიტა ლიმიტატა-მ გააფორმა ორი კონტრაქტი საქართველოში და აქედან გამომდინარე დაარსდა ჯიპიაი-ს ფილიალი საქართველოში 2017 წელს ორი ხელშეკრულების საფუძველზე (Tbilisi Bypass an Khevi-Argveta). შპს ჯესტიონე პროგეტი ინჟინერია სოსიეტა რესპონსაბილიტა ლიმიტატა-მ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ორ სხვა იტალიურ კომპანიასთან (ანას ინტერნეიშენალ ენტერპრაიზი-ლიდერი და აიარდ ენჯინერინგ-თან), რათა განახორციელონ მიზანშეწონილობის შესწავლა და დეტალური დიზაინის მომზადება E-60 მაგისტრალის მონაკვეთი ნატახტარიდან რუსთავამდე Tbilisi Bypass-სთვის. კონტრაქტი, რომელსაც აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს, გადაეცა საქართველოს საგზაო დეპარტამენტს.

აღნიშნული პროექტი მთავრდება 2020 წელს და გარდა ამ კონტრაქტისა, კომპანიას არ გააჩნია სხვა პროექტები, რადგან ყველა დასრულდა 2019 წელს. აქედან გამომდინარე არის რისკი იმისა რომ კომპანიამ 2020 წელს ვერ გააფორმოს დამატებითი ხელშეკრულება და კომპანიამ შეწყვიტოს ფუნქციონირება. თუმცა კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მისი მაღალი რეპუტაციის და გამოცდილების შესაბამისად აქვს მნიშვნელოვანი წინაპირობა რომ მოიპოვოს ახალი გრძელვადიანი კონტრაქტები.

19. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2020 წლის 11 მაისს.